



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 86

2017 წლის 30 ივნისი

ქ. თბილისი

**„2017 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების მოხსნის შესახებ**

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „2017 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ გამოცხადების შესახებ“ - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 10 მაისის N50 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მტავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის 2017 წლის 30 ივნისის სამსახურებრივი ბარათის (N763597) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**


1. „2017 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
8. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი


**შემსრულებელი:**

იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის  
მოადგილე

-----  ----- /მარიამ იაშვილი/

**შეთანხმებულია:**

1. იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

-----  ----- /ეკატერინე ბუთლიაშვილი/